



საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და  
სპორტის სამინისტრო  
საჯარო სამართლის იურიდიული პირი  
თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო  
კონსერვატორია



თბილისი 0108, გრიბოედოვის ქ. N 8-10 ტელ/ფაქსი: (+995 32) 2 999 144,  
www.tsc.edu.ge ელ-ფოსტა: info@tsc.edu.ge; inter@tsc.edu.ge



KA000047993148220

№ 02-165-R

17 / სექტემბერი / 2020 წ.

**ბ რ ძ ა ნ ე ბ ა**

**ადმინისტრაციული პერსონალის დისტანციურ რეჟიმზე გადაყვანის შესახებ**

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის, 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის მე-3 ნაწილის, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, 55-ე მუხლის, 56-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების, 57-ე მუხლისა და 63-ე მუხლის, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2014 წლის 7 ივლისის N05/90 ბრძანებით დამტკიცებული სსიპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის წესდების მე-14 მუხლის მე-9 საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2020 წლის 16 სექტემბრის „იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის N322 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თობაზე

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ე:**

1. კონსერვატორიის ადმინისტრაციული ერთეულებში დასაქმებული პირები გადავიდნენ მუშაობის დისტანციურ რეჟიმზე, გარდა იმ შემთვევისა, როდესაც კონკრეტული პოზიციის/თანამდებობის პირის კონსერვატორიის ტერიტორიაზე ყოფნა/გამოცხადება დაკავშირებულია ამ პოზიციის/თანამდებობის სპეციფიკასთან
2. სსიპ ვ.სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახ. კონსერვატორიის კოლეგიური ორგანოების (აკადემიური საბჭოს, წარმომადგენლობითი საბჭოს, ფაკულტეტის საბჭოს სტუდენტთა თვითმმართველობის, სადისერტაციო საბჭოს და სხვ) საქმიანობა, აგრეთვე მიმართულების სხდომები განხორციელდეს დისტანციურად, ადმინისტრაციული წარმოებისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით (გადაწყვეტილების მიღებისთვის კვორუმის დადგენა, ხმის მიცემა, ოქმის წარმოება და სხვ)
3. ბრძანება განთავსდეს კონსერვატორიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე [www.tsc.edu.ge](http://www.tsc.edu.ge)
4. ბრძანება დაეგზავნოს კონსერვატორიის ყველა სტრუქტურულ ერთეულს
5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. N6)

